ბრძანება:**ბ135. 135230441**
თარიღი:**13/02/2023**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსზე
დანამატის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 61–ე მუხლის, მესამე ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ" 37-ე მუხლის, პირველი და მეორე ნაწილის,ამავე კანონის 57-ემუხლის მე-4 ნაწილის ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი და მეორე პუნქტის შესაბამისად:

ვბრძანებ:

1. დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, გაიცეს სახელფასო დანამატი ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსზე ფირუზ ფილფანზე.
2. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს დანამატის საჭირო თანხის დროული გამოყოფა.
3. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 180–ე მუხლის პირველი ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის'' 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12**).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი